EnduroChlor

თვითაქაფებადი ხანგრძლივი კონტაქტის ქლორირებული საწმენდი საშუალება.

აღწერა:

EnduroChlor არის თხევადი ქლორირებული საშუალო ტუტე შემცველობის მაღალი მოქმედების საწმენდი საშუალება, რომელიც შექმნილია ყოველდღიური გარე დასუფთავებისათვის, მძიმე ტიპის დასუფთავების ფართო სპექტრის სამუშაოებში, მათ შორის საკვების, სასმელებისა და რძის მრეწველობაში.

ძირითადი მახასიათებლები:

- EnduroChlor არის სრულიად ახალი „Thixofoam“ ტექნოლოგია. გამოყენებისას,EnduroChlor ეკვრის ვერტიკალურ ზედაპირებს, რაც უზრუნველყოფს ხანგრძლივ კონტაქტის დროს და შესანიშნავ შეღწევას ძლიერ დაბინძურებაში.
- EnduroChlor შესაფერისია გამოყენებისათვის ისეთ სფეროებში, სადაც ხშირად გვხვდება ძლიერი დაბინძურება: ხორცის საწარმოებში, ქათმის დამამუშავებელ ობიექტებში, თევზის და ბოსტნეულის გადამუშავების საწარმოებში. იგი განსაკუთრებით ეფექტურია ცხიმიანი დაბინძურებისა და ნალექების წინააღმდეგ.
- EnduroChlor უზრუნველყოფს გამოყენების ისეთივე მახასიათებლებს და ქაფის ხილვადობას, როგორც ტრადიციული ქაფიანი საპნები. ის ასევე უზრუნველყოფს გელის ხსნარისათვის დამახასიათებელ გახანგრძლივებულ კონტაქტის დროს და გაუმჯობესებულ წმენდას. საჭირო შეხების შემდეგ, EnduroChlor-ის ქაფი მარტივად ირეცხება და სწრაფად იშლება არხებში, გაცილებით მცირე დროში, ვიდრე ჩვეულებრივი ქაფი.

უპირატესობები:

- გახანგრძლივებული შეხების დრო: გამორიცხავს ხელმეორედ გამოყენების საჭიროებას და უზრუნველყოფს უკეთეს გაწმენდას.
- ერთჯერადი გამოყენება: ზრდის თანამშრომლების პროდუქტიულობას და ამცირებს გამოყენებული საშუალების რაოდენობას.
- სწრაფი ჩამორეცხა: ამცირებს სამუშაო ძალას, დაზოგავს დროსა და წყალს და ქმნის ნაკლებ საკანალიზაციო ნარჩენს.
- არ ტოვებს ლაქებს, გამოიყენება საკვებთან კონტაქტში მყოფ ზედაპირებზე.
- ეფექტურია როგორც რბილ, ასევე ხისტ წყალში.

გამოყენების წესები:

გამოიყენეთ EnduroChlor 2-10%-იანი კონცენტრაციით, დაბინძურების ტიპისა და ხარისხის მიხედვით. კონკრეტული დეტალებისთვის იხილეთ ინდივიდუალური მეთოდის ბარათები.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე მოყვითალო სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 1,18

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) - 12

ჟანგბადის საჭიროება ქიმიკატში (COD) - 98,5 gO_2/kg

აზოტის შემცველობა (N) 0,9 g/kg

ფოსფორის შემცველობა 6,3 g/kg

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

EnduroChlor გამოსადეგია გადამამუშავებული კვების მრეწველობაში ხშირად გამოყენებული მასალებისთვის, რეკომენდებული კონცენტრაციითა და ტემპერატურით გამოყენებისას.

EnduroChlor არ არის უსაფრთხო ალუმინის ან გალვანიზებული ნაწილებისთვის. გამოყენების შემდეგ (1 საათის განმავლობაში) ყოველთვის კარგად ჩამორეცხეთ ზედაპირები.

გაურკვევლობის შემთხვევაში, ხანგრძლივი გამოყენების წინ რეკომენდებულია ცალკეული მასალების შეფასება.

ტესტირების მეთოდი:

რეაგენტები: 0.1 N მარილმჟავა ან გოგირდმჟავა

0.1 N ნატრიუმის თიოსულფატი

ფენოლფთალეინის ინდიკატორი

პროცედურა: სატესტო ხსნარის 10 მლ-ს დაუმატეთ დაახლოებით 10 მლ 0.1N ნატრიუმის თიოსულფატი, კარგად აურიეთ და გააჩერეთ დაახლოებით 30 წამი. დაუმატეთ ინდიკატორის ხსნარის 2-3 წვეთი და ტიტრაცია მოახდინეთ მჟავასთან ერთად უფერო საბოლოო წერტილამდე.

კალკულაცია: w/w EnduroChlor = ტიტრი (mls) x 0.64

v/v EnduroChlor = ტიტრი (mls) x 0.55

Cleantech